პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით | პარასკევი, 9 მაისი 1924 წ. | წელიწადი მეოთხე | ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი მხედარი

№ 49[3] ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს № 1—40
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## როგორი მთავრობაა შესაძლებელი გერმანიაში.

არჩევნების შემდეგ გერმანიაში მთავრობის შედგენა გამოიწვევს კრიზისს. ძალთა განწყობილება ახალ რეიხსტაგში თითქმის თანასწორია. რეიხსტაგის ორ უძლიერეს პარტიებს წარმოადგენენ სოც. დემოკრატები და ნაციონალისტები. ასე, რომ მთავრობის შედგენაში ტონის მიმცემი აღნიშნული პარტიები იქნებიან. რომელი ამ ორ პარტიიდან ითავებს მთავრობის შედგენას? შედგება კოალიციონური მთავრობა მემარცხენე ბლოკის სოც.-დემოკრატიის მეთაურობით, თუ ნაციონალისტები აიღებენ ძალა-უფლებას სხვა რეაქციონურ ფაშისტურ პარტიების დახმარებით?

არსებული მარქსის მთავრობა ცდილობს კვლავ დიდ კოალიციის აღდგენას, რომელშიაც შევლენ სახალხო პარტიიდან—სოციალ-დემოკრატებამდე. მაგრამ დიდმა კოალიციამ უკვე მარცხი განიცადა. იქიდან არაფერი გამოვიდა. ეს დღეს მით უფრო შეუძლებელია, ვინაიდან არჩევნებში ყველა პარტიებმა, რომლებიც დიდ კოალიციაში შედიოდენ (სოც.-დემ., სახ. პარტია, ცენტრი, დემოკრატები) საშინელი მარცხი განიცადეს. სამაგიეროთ არჩევნებიდან გამარჯვებული გამოვიდნენ ორი, ერთი მეორის უკიდურესი მოწინააღმდეგე პარტიები: ნაციონალისტები და კომ. პარტია. ცხადია, რომ კომ. პარტია არც ერთ ბურჟუაზიულ მთავრობას არ დაუჭერს მხარს და ყოველთვის ეცდება მის ჩამოგდებას.

ნაციონალისტები მთელ თავის ძალებს რა თქმა უნდა პირველ რიგში კომუნისტების წინააღმდეგ აამოქმედებენ. მაგრამ პარლამენტში ისინი დემოკრატიულ და წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებს გამოუცხადებენ ბრძოლას.

დიდი კოალიციის იდეა გატარებულია. მისი აღდგენა კიდეც რომ შესაძლებელი გახდეს უდღეური იქნება. მაშასადამე, მთავრობის შედგენის ჯერი ნაციონალისტებზეა. ისინიც უკვე აცხადებენ სურვილს მთავრობის შედგენაზე. ნაციონალისტების ლიდერი გერგტი აცხადებს, რომ ნაციონალისტურ პარტიას განზრახული აქვს მთავრობის შედგენაში მონაწილეობის მიღება, ამ შემთხვევაში ის მიიღებს თავის თავზე მთავრობის შედგენის როლს. გერგტის ეს განცხადება შესაძლებელია სინამდვილეთ იქცეს და ჩვენ გავხდეთ მოწამე გერმანიაში ნაციონალისტურ—რეაქციონურ მთავრობის არსებობის.

ნაციონალისტებს, თუ ისინი მთავრობის შედგენის ინიციატივას ხელში აიღებენ, მხარს დაუჭერენ აგრარიები, ტევტონური პარტია (ფაშისტები) და სხვა რეაქციონური ძალები. ასეთ მთავრობას დიდ წინააღმდეგობას არ გაუწევს არც სოციალ-დემოკრატია და სხვა პარტიები, თუმცა ისინი დარჩებიან ოპოზიციონურ პარტიებათ.

მაგრამ არც ნაციონალისტების მთავრობა იქნება მტკიცე და ხანგრძლივი. ერთი მხრივ ის გაამწვავებს მდგომარეობას საფრანგეთთან, მეორე მხრივ კომუნისტური პარტია მშრომელთა ფართო მასების წინაშე ამხილებს მათ მოქმედებას და ამით აამხედრებს მის წინააღმდეგ მუშათა კლასს.

საერთოდ, კოალიციონურ—კონსტიტუციონური მტკიცე მთავრობის არსებობა დღეს გერმანიაში შეუძლებელია. იქ შესაძლებელია ან ფაშისტური ძალა უფლება, ან პროლეტარიატის დიქტატურა. ჯერ სავსებით არც ერთ ძალას არ აქვს შესაძლებლობა ძალა-უფლების ხელში აღების, მაგრამ ისინი დაეყრდნობიან არა პარლამენტში აწეულ ხელებს, არამედ შეიარაღებულ ძალას.

## რიზა-ხანი და რესპუბლიკანური მოძრაობა სპარსეთში.

სპარსეთი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მოსაზღვრე სახელმწიფოა. საბჭოთა კავშირს მტკიცე დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობა აქვს დამყარებული სპარსეთთან. საბჭოთა კავშირი ერთგული მეგობარია აღმოსავლეთ ხალხების მათ წინსვლაში და განთავისუფლებაში საბჭოთა კავშირის მშრომელები მეტად არიან დაინტერესებულნი.

ამიტომ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სპარსეთში მომხდარი ამბები.

როგორც ვიცით, ერთი თვის უკან სპარსეთში დაიწყო ძლიერი მოძრაობა რესპუბლიკისათვის. მეჯლისში (პარლამენტი) დაისვა ეს საკითხი. მეჯლისმა ვერ მიიღო ვერავითარი გადაწყვეტილება და სპარსეთის ხალხის დაკითხვა, სცნო საჭიროდ რომელიც გამოიხატებოდა დამფუძნებელ კრების მოწვევაში. ამ საკითხის ირგვლივ დიდი კამათი გაიმართა სპარსეთის პარტიებს შორის. ყველა პარტიები შეჰყურებდენ სპარსეთის დღევანდელ მთავრობის თავმჯდომარეს რიზა-ხანს.

რიზა-ხანი დღეს უდიდესი პოლიტიკური სახელმწიფო მოღვაწეა სპარსეთში. მან შექმნა სპარსეთის არმია. ის არის ჯარის სარდალი, სამხედრო მინისტრი და მთავრობის თავმჯდომარე. რიზა-ხანი გონიერი და შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწეა. ის დღეს სპარსეთის ფაქტიური დიქტატორია. აქედან ცხადია, რომ მის სიტყვას დიდი მნიშვნელობა ქონდა. დღემდის რიზა-ხანი გარკვეულ პასუხს არ იძლეოდა. ის უთუოდ სათანადო დროს უცდიდა. დღეს კი მან თქვა თავისი სიტყვა. თეირანიდან მიღებული ცნობა იუწყება: „რიზა-ხანმა უარი განაცხადა რესპუბლიკის გამოცხადებაზე, რადგან სამღვდელოება ამის წინააღმდეგია“.

რითი აიხსნება რიზა-ხანის ასეთი განცხადება? ნუ თუ მართლა სამღვდელოებას უწევს ის ასეთ ანგარიშს?

რიზა-ხანს დღეს სპარსეთში ემორჩილება როგორც სამხედრო ისე სამოქალაქო უწყებები. ის ბატონ-პატრონია სპარსეთის.

პარლამენტს კიდეც რომ გაეწია წინააღმდეგობა რიზა-ხანისათვის, მას შეეძლო ესარგებლა შახის უფლებებით და არ შეესრულებია პარლამენტის მოთხოვნა.

ეხლანდელი პარლამენტი უძლური გამოდგა და ის დაემორჩილა რიზა-ხანს.

რიზა-ხანმა ძალიან კარგად იცის, რომ დამფუძნებელი კრების მოწვევა და რესპუბლიკის გამოცხადება მისი ბატონობის აღსასრული იქნება. მაშინ არ შეეძლება რიზა-ხანს ხალხის წარმომადგენელთა მოთხოვნის უარყოფა. ის მათ უნდა დაემორჩილოს. ეს კი იქნება მისი აღსასრული.

რიზა-ხანმა ვერ გაბედა ამის აშკარად თქმა და მან სამღვდელოება ამოიფარა, თითქოს მათ სურვილისამებრ მოქმედებს.

სპარსეთში სამღვდელოება არავითარ პოლიტიკურ როლს არ თამაშობს და მათ ამ შემთხვევაში ანგარიშს არავინ უწევს.

ისეთი ძლიერი სახელმწიფო მოღვაწის ანტი-რესპუბლიკანური გამოსვლამ, როგორიცაა რიზა-ხანი, შეიძლება შეაფერხოს რესპუბლიკის გამოცხადების საქმე, მაგრამ დაწყებული მოძრაობის ჩაქრობაც არ შეიძლება. ვერ შესძლებს ამას ვერც რიზა-ხანი. სპარსეთის ხალხი შემოიღებს რესპუბლიკანურ მართვა-გამგეობას.

რიზა ხანი ან უნდა დაემორჩილოს ხალხის სურვილს და გაუწიოს მას მომავალშიაც სამსახური, ან არა და ის გადაუდგება რესპუბლიკას და იბრძოლებს მის წინააღმდეგ.

**ხეფ.**

# რადიო-დეპეშები

— კომინტერნის გაფართოებული პლენუმი მოწვეული იქნას 15 იანვრისათვის.

— ცნობილი ჩრდილოეთის პოლიუსის მკლევარი ამუნდსენი 15 მაისს მიემგზავრება ჰაეროპლანებით ჩრდ. პოლიუსისაკენ.

— ლიტვა-პოლონეთის საზღვრებზე მოხდა ორივე სახელმწიფოს სანაპირო რაზმების შეტაკება.

— 15 მაისიდან გამოშვებული იქნება ხმარებაში სპილენძის 3 და 5 კაპ.

— საბჭოთა—ინგლისის კონფერენცია ნაყოფიერად მიმდინარეობს.

— არგენტინაში მუშათა გაფიცვები თანდათან ძლიერდება.

## საბჭოთა კავშირი.

### საბჭოთა პურმა კვლავ დაიპყრო მსოფლიო ბაზარი.

**კამენევი კომპარტიის ცეკას მუშაობის შესახებ.**

ამხ. კამენევი რომელიც, გამოვიდა წითელ არმიელთა პარტ-კონფერენციაზე მოხსენებით, ცეკას მოღვაწეობის შესახებ აღნიშნა, რომ მიმდინარე საოპერაციო წლის პურის ექსპორტის გეგმა სავსებით შესრულებული იქნა. წარსულ საოპერაციო წელს გატანილი იქნა უცხოეთის ბაზარზე 40 მილიონი ფუთი პური, წრეულს კი 225 მილიონი ფუთი. ს.ს.რ კავშირმა შესძლო ევროპის ბაზრიდან ამერიკის პურის განდევნა. ევროპა არჩევს რუსეთის პურს მისი უფრო კარგი ღირსების გამო. მიუხედავად იმისა რომ ჩვენ ძლიერ არ ვცდილვართ ექსპორტის გადიდებას და გაგვქონდა მხოლოდ ზედმეტი, ს.ს.რ. კავშირმა ადვილად შესძლო დაებრუნებია რუსეთის პურისთვის საერთაშორისო ბაზარი.

**ჩვენ ვერავინ მოგვატყუვა.**

შეეხო რა საერთაშორისო მდგომარეობას, ამხ. კამენევი ამბობს: მხოლოდ ცეკას მიაჩნია ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა განმტკიცებულად. ჩვენ არავისთვის მიგვიცია ნება, პროვოკაცია გაეწია ჩვენს შესახებ, რაც აუცილებლად კარგად უნდა ახსოვდეს გერმანიის მთავრობას.

**საფრანგეთ საბჭოთა ურთიერთობა.**

შეეხო რა საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერობას, კამენევმა გამოსთქვა აზრი, რომ ახალი არჩევნების შემდეგ შეიძლება მოხდეს გადახრა მარცხნივ, როდესაც ნაციონალური ბლოკისაგან შემდგარი კაბინეთის ადგილს დაიჭერს უფრო მემარცხენე მთავრობა, რომელიც უფრო შორს მჭვრეტი ბურჟუაზიის ნაწილის ზედმოქმედებით, იძულებული გახდება დასვას საკითხი ს. ს. რ. კ. მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

არა ნაკლები როლი შეუძლია ითამაშოს ამ შემთხვევაში საფრანგეთის კომპარტიამ, რომელიც დარწმუნებულია არჩევნებში გამარჯვებაზე.

**კომინტერნის აღმასკომში.**

კომინტერნის აღმასკომის დადგენილებით, კომინტერნის გაფართოებული პლენუმის მოწვევა 5 ივნისიდან გადაიდო 15 ივნისისთვის.

**სპილენძის ფულის გამოშვება.**

მაისის მეორე ნახევრიდან გამოიშვება სპილენძის ფული ხმარებაში. პირველ რიგში 3—და 5 კაპიკიანები, ხოლო შემდეგ 1 და 2 კაპიკიანები.

სპილენძის ფულის გადაგზავნა ადგილებზე იწარმოებს ლენინგრადის ფულის საჭრელიდან ცენტრის განკარგულებით.

## ინგლის-საბჭოთა კონფერენცია.

**მუშაობის ჩქარი მსვლელობა.**

რეიტერის სააგენტოს ცნობით არავითარი საბაბი არ არსებობს კონფერენციის მუშაობის შესახებ გავრცელებულ პესიმისტური ხმებისთვის. კომისიები განაგრძობენ სხდომებს და ასრულებენ მათზე დაკისრებულ საქმეებს. სავაჭრო ხელშეკრულების კომისიები აწარმოებენ დაჩქარებით მოლაპარაკებას. აქამდე არავითარ სიძნელეს მოლაპარაკების წარმოებაში ადგილი არ ჰქონებია.

**კონფერენციის გარშემო.**

**რუმინია ცდილობს ლონდონის კონფერენციის ჩაშლას.**

რუმინეთის ბურჟუაზიული პრესა მოითხოვს, რომ ლონდონში მყოფმა რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დუკამ ინახულოს მაკდონალდი და წააქეზოს ის რათა უკანასკნელმა მოითხოვოს ს. ს. რ. კავშირისაგან უარი განაცხადოს ბესარაბიაზე.

**კონსერვატორები გაწიწმატებული არიან.**

კონსერვატიული პრესა აძლიერებს ს. ს. რ. კავშირის წინააღმდეგ აგიტაციას და იმეორებს ძველ ბრალდებებს. „მორნინგ პოსტი“ ათავსებს ათასგვარ ჭორებს. „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება ს.ს.რ.კ. მემარცხენე კომუნისტებისაგან ძალა უფლების ხელში ჩაგდების შესახებ. გაზეთის აზრით მემარცხენე ელემენტების გამარჯვება მეტად აძნელებს კონფერენციის მუშაობის მსვლელობას.

### სიმართლეს ვერ გაექცევი.

გაზეთი იცოდებს ინგლისის ჩინოვნიკებს, რომლებსაც წილად ხვდათ კომისიებში საბჭოთა დელეგატებთან მუშაობა, რომლებიც შესდგებიან „შეურიგებელ მოწინააღმდეგეთაგან, რაიმე შეთანხმებაზე ან კომპრომისებზე წასვლაში, ან სრულიად „უსარგებლო პიროვნებათაგან.“ თუმცა „დეილი ტელეგრაფი“ ამტკიცებს, რომ კონფერენცია აგრძელებს მუშაობას და აღნიშნავს, რომ ერთ ნახევარ კვირის შემდეგ გამოირკვევა მოგვცემს კონფერენცია რაიმე დადებითი შედეგებს თუ არა.

### ბელგიის და საბჭოთა კავშ. მოლაპარაკება.

**ბელგიის ნაციონალისტები წინააღმდეგი არიან ს. ს. რ. კავშირის ცნობის.**

ნაციონალისტური გაზეთი „ნასიონელ ბელჟ“ საბჭოთა ბელგეთის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით წინააღმდეგია საბჭ. ს. ს. კ. ურთიერთობის განახლების და მოითხოვს მთავრობის წინასწარ თათბირს ბელგეთის მრეწველებთან, რომლებიც ყველაზე უფრო დაინტერესებული არიან ამ კითხვით.

## გერმანიის ამბები

### რეიხსტაგის არჩევნები გერმანიაში.

**ოფიციალური ცნობები არჩევნების შედეგების შესახებ.**

ოფიციალური ცნობების თანახმად არჩევნების შედეგი ასეთია: სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 5,970,000 ხმა, ცენტრმა 3,400,000 გერმანიის ნაციონალურმა პარტიამ 5,755,000 დემოკრატებმა 1,657,000 ბავარიის სახალხო პარტიამ 1,142,000, კომუნისტებმა 3,612,000 ბავარიის გლეხთა კავშირმა 683000. კათოლიკურმა პარტიამ 318,000 და გერმანიის სოციალისტურმა პარტიამ 338,000. აგრარიების კავშირის სიამ, რომელსაც მხარს უჭერდა ნაციონალისტები 568,000. ტევტონიის 1,913,000 დამოუკიდებლებმა 240,000 ათასი ხმა. ხმების საბოლოო დათვლის დროს შესაძლებელია ცვლილებები.

## კაპიტალისტურ ქვეყნებში

### ლატვია.

**ყოფილი პრემიერის დატუსაღება.**

ვილნოდან ჩამოსული ყოფილი ლატვიის პრემიერი დაპატიმრებული იქნა, სახელმწიფოს ღალატში ბრალდებისათვის.

**დაპატიმრება პირველ მაისის დემონსტრაციისათვის.**

დაპატიმრებულია 30 მუშა, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ საპირველმაისო დემონსტრაციებში.

### ოსმალეთი.

**პატრიარხატისა და რავინატის ლიკვიდაციის პროექტი.**

მუსტაფა ქემალი მოითხოვს სასწრაფოთ ლიკვიდაცია ეყოს კონსტანტინოპოლში პატრიარხატსა და რავინატს.

## ქ. მ. დივიზიის მესამე პარტიული კონფერენცია.

შემდეგი სხდომა
(დასასრული)

**სამილიციო ჯარი, მისი პრინციპიალური და პრაქტიკული მხარეები.**

მომხსენებელია ამხ. თენგიზ ჟღენტი. ამხ. ჟღენტი ამ საკითხს აშუქებს ვრცლათ, ის ეხება ყოველ მხრივათ სამილიციო ჯარის მიზანს და ამოცანებს, მილიციონური ჯარის იდეა, ამბობს მომხსენებელი, ახალი არ არის. სოციალისტური პარტიები მუდმივ ჯარს უპირდაპირებდენ სამილიციო ჯარს. მათი მიზანი იყო მუდმივი ჯარის გაუქმება და სამილიციო სისტემაზე გადასვლა. აქიდგანაც სჩანს, რომ სამილიციო ჯარის შექმნას ქონია ღრმა პრინციპიალური ხასიათი და მის შესაქმნელათ საჭიროა შესაფერი პირობებიც.

სამილიციო ჯარის შექმნა შეიძლება მხოლოთ იქ, სადაც საბჭოთა მთავრობაა, მისი შექმნა არ შეუძლია ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, მაგრამ აქაც საჭიროა სიფხიზლე და თანდათანობა, არც რუსეთში და არც სხვა საბჭოთა კავშირის ნაწილში ერთბაშათ გადასვლა ამ სისტემაზედ არ ხდება, მუდმივი ჯარის აუცილებელი რაოდენობა რჩება და მის გვერდით თანდათანობით იქმნება სამილიციო ჯარი, როდესაც საქართველოში შეუდგებით სამილიციო ჯარის შედგენას შესაძლოა სამხედრო ტერმინოლოგიამ გამონახოს მისი ნამდვილი სახელწოდება, რომ ის უფრო გასაგები იყოს ხალხის ფართე მასებისათვის.

ასეთი ჯარისას ერთ დივიზიას ჩვენ უკვე ვაწყობთ. ეს დიდი ამოცანა არის ჩვენთვის, ჩვენ ერთი დივიზიის ძალები უნდა გავყოთ ორ ნაწილათ რაც ანახევრებს ჩვენს ძალებს, მაგრამ ჩვენი ენერგია ყოველივე დაბრკოლებებს გადალახავს.

მომხსენებელს ეძლევა შეკითხვები: თუ როგორ მოეწყობა ეს დივიზია, სამსახურის დრო, შემადგენლობა და საერთოთ ორგანიზაციულ მხარეებზედ, რაზედაც მომხსენებელი დამაკმაყოფილებლათ უპასუხებს მოხსენება მეტათ შინაარსიანი იყო. რის შემდეგ კონფერენციას გამოაქვს შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. თ. ჟღენტის მილიციონური ჯარის, მისი პრინციპიალური და პრაქტიკული მხარეების შესახებ, ვიღებთ რა მხედველობაში სხვა და სხვა პირობებს და მატერიალურ მომჭირნეობას საბჭ. რესპუბლიკების, კონფერენცია საჭიროთ სცნობს იქმნეს შექმნილი რაიმე შემაერთებელი პოლიტ და სამწყობრო აპარატი ამ ორ დივიზიისათვის.

კონფერენცია შემდეგ გადადის არჩევნებზე. იქმნა არჩეული არმიის პარტ. კონფერენციის და ს. კ. პ. ყრილობის დელეგატები.

შემდეგ არჩეულ იქმნა პარტკომისია ქ. მ. დივიზიის.

კრება დაიხურა საღამოს 8 საათ.

გო—ცი.

## სამხედროების და მკითხველების საყურადღებოდ.

გაზეთ „წითელ არმიელის“ რედაქცია გადავიდა ახალ ბინაზე ჯორჯიაშვილის ქუჩა, სახლი № 8. („ჩონი“-ს ბინა)

# საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობა

**ყრილობის გახსნა.**

9 მაისს სასახლის წითელ დარბაზში 1 საათზე ამხ. მიხა ცხაკაიას თავმჯდომარეობით გაიხსნა საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობა.

**ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა.**

ამხ. მიხა მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართავს ყრილობას და აღნიშნავს იმ პირობებს, რომელშიაც იკრიბება ის.

ჩვენი მესამე ყრილობა იხსნება იმ დროს, — ამბობს ორატორი — როდესაც აღარ გვყავს ამხ. ლენინი, დამაარსებელი და ქვაკუთხედი კომუნისტური პარტიისა, მსოფლიო რევოლიუციის შტაბის — კომუნისტური ინტერნაციონალისა, მჭედელი საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელმაც სძლია მრავალ შინაურ და გარეშე მტრებს.

ამხ. ლენინი მარქსთან და ენგელსთან შედარებით ახალგაზრდა დავკარგეთ. ლენინისთანა ძლიერი პიროვნება და მებრძოლი შეეძლო წარმოეშვა პროლეტარიატს. ამხ. მიხას წინადადებით ყრილობა ფეხზე დგება და მღერის: „თქვენ მსხვერპლათ დაეცით“.

ამხ. ცხაკაია მოკლეთ აღნიშნავს საქართველოს კომუნისტური პარტიის მიღწევებს მიწის საკითხის გადაჭრას, ანტისაბჭოთა პარტიების დაშლა მოსპობას, სხვა რესპუბლიკებთან ერთად მძლავრ საბჭოთა კავშირის დაარსებას და სხვა.

**პრეზიდიუმის არჩევნები.**

ამხ. აზრუმელაშვილის წინადადებით პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგ ამხანაგები: ა. გეგეჭკორი ჯატიევი, ანდრო დოლიძე, თენგიზ ჟღენტი, ქავთარაძე, ლ. კახიანი, ქურდაძე, ყურულაშვილი, კაკობა, ლომინაძე, ლორთქიფანიძე, მამულია, მახარაძე, მ. ოკუჯავა, მ. ორახელაშვილი, ს. ორჯონიკიძე, რატნეკი, სუხიშვილი, ვ. სტურუა, მ. ცხაკაია შ. ელიავა.

**სამდივნოში:** მ. ბედია, გიორგაძე, გ. სტურუა, სტურუა და გოლდბაუმი.

**სარედაქციო კოლეგიაში.** ვ. ბახტაძე, ნ. კიკნაძე, გ. დევდარიანი, პ. საყვარელიძე და რუბენი.

**სამანდატო კომისიაში:** ვარამაშვილი, ივანოვი, კოსტანიანი, საგარაჯევი, და შაბანოვი.

საპატიო თავმჯდომარეები: ამხ. ზინოვიევი ტროცკი, რიკოვი, კრუპსკაია, კლარა ცეტკინა და კამენევი.

**მისალმებანი.**

შემდეგ ყრილობისადმი მისალმებით გამოდის გერმანიის კომუნისტური პარტიის და რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტის წევრი ამხ. შიფრინი.

**თბილისის მუშების სალამი.**

ყრილობამ მიიღო მისალმება ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხნის მუშებისაგან, ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა კავშირისაგან და სამექანიკო საარტილერიო-ქარხნების 400 მუშებისაგან, რომლებიც აღნიშნავენ მენშევიკების სრულ დამარცხებას მუშათა მასებში და უსურვებენ ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას.

რეგლამენტის მიღების და ყრილობის დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ სხდომა გადაიდო საღამოსთვის.

**მეორე სხდომა.**

### ცეკას ანგარიში.

სხდომის გახსნისთანავე სიტყვა ეძლევა მოხსენებისათვის ცეკას ანგარიშის შესახებ ამხ. ბ. **ლომინაძეს.**

**ანტისაბჭოთა პარტიების დაშლა.**

განვლილი წელი მნიშვნელოვანია მით, რომ მოხდა მოწინააღმდეგეთა ბანაკის, ანტისაბჭოთა პარტიების სრული დაშლა: მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატების, ახალგაზრდა მარქსისტების, ფედერალისტების და სხვა უმნიშვნელო პარტიების.

**მენშევიკები.**

ანტისაბჭოთა პარტიებში მთავარ ძალას წარმოადგენდენ მენშევიკები, რომელსაც საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში მძლავრი ორგანიზაცია ჰქონდათ, ცენტრალური კომიტეტით, ბეჭვდითი ორგანოთი და მრავალ რიცხოვანი პასიური და აქტიური მიმდევრებით.

1922 წლამდე, ს. კ. პ. მეორე ყრილობამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა მენშევიკებთან ბრძოლას, აქტიური და რეპრესიული ზომებით არ ვმოქმედობდით მათ წინააღმდეგ?

გურიაში ბანდიტური გამოსვლების შემდეგ კი, ჩვენ გავაგზავნეთ იქ რაზმები და ტერორს ტერორითვე ვუპასუხეთ.

საგანგებო კომისიაში მენშევიკებმა ათასობით გაიარეს. მაგრამ მარტო რეპრესიული ბრძოლით ჩვენ ვერ შევსძლებდით მენშევიკური პარტიის დაშლას, უმთავრესი მიზეზი მენშევიკთა გახრწნისა იყო ის, რომ დაძლეულ იქნა წვრილ ბურჟუაზიული ილიუზიები და სწორად იქნა გადაჭრილი ეროვნული საკითხი, რის შემდეგ ამან ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას ჩვენში.

საქართველოს მენშევიზმმა გაიარა სრული გზა თავისი განვითარების, საქართველო მენშევიკურ ოაზისს წარმოადგენდა. 3 წლის გამოცდილებამ გაფანტა ილიუზიები მენშევიკთა ნაქებ დემოკრატიზმის და შინაურ და საერთაშორისო ბურჟუაზიასთან კოალიციის შესახებ. უკვე მათი ბატონობის დროს დაიბადა უკმაყოფილება, უთანხმოება თვით მენშევიკთა წრეებში, რამაც დაბოლოს მიგვიყვანა მენშევიკთა სრულ დაშლამდე.

1923 წელში ჩატარებულ აგრარულმა რევოლიუციამ კიდევ უფრო მოგვიპოვა ნდობა, გააძლიერა ჩვენი გავლენა გლეხობაში. საბჭოთა ხელისუფლების სხვა ზომებთან ერთად ეს ფაქტმა დაარწმუნა მშრომელი მასა, რომ ჩვენი მთავრობა ნამდვილი მუშურ გლეხური მთავრობაა, რომ ის მედგრად იცავს მუშათა და გლეხთა ინტერესებს. ამან გამოიწვია გარდატეხა ჩვენ სასარგებლოდ თვით იმ მასებშიც რომლებიც წინეთ მენშევიკებს მისდევდნენ.

მენშევიკური პარტია პირველ ყოვლისა დასტოვეს პროლეტარულმა ელემენტებმა, რომლებიც ინსტიქტიურათაც გრძნობდენ ჩვენ პარტიასთან დაახლოების აუცილებლობას.

**ახალგაზრდა მარქსისტები.**

უფრო დააგვიანა ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაციის დაშლამ, რომელიც დაიწყო მენშევიკური პარტიის ლიკვიდაციის შემდეგ. ახალგაზრდა მარქსისტები უფრო ნაკლებ ხალისით სტოვებდენ თავის ორგანიზაციებს, რაც შეიძლება მათი უფრო ბურჟუაზიული სოციალური შემადგენლობით აიხსნება დასასრულ შესდგა ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტების კონფერენცია, რომელმაც გამოაცხადა თავის ორგანიზაციის თვითლიკვიდაცია. საბუთები, საიდანაც სჩანს რომ ისინი ემზადებოდენ აჯანყებისათვის და ელოდენ პოლონეთის და სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნების დახმარებას. სისხლის სამართლის ბანდიტიზმი და ჯაშუშობა მენშევიზმის სრულ გაკოტრებას მოასწავებს. მათ პოლიტიკამ პირდაპირ უაზრო ავანტიურისტული ხასიათი მიიღო. მომავალშიც აქტიური და რეპრესიული ზომები უნდა მივიღოთ მენშევიზმის წინააღმდეგ. მათი ცეკა დღეს მათ ნებას რთავს პარტიიდან გასვლისას დეკლარატიულ განცხადების საშვალებით.

მომხსენებელი შემდეგ აღნიშნავს ყოფილ მენშევიკების საუკეთესო — მუშურ ნაწილის პარტიაში მიღების და დანარჩენების პროფესიონალურ კულტურულ და კოოპერატიულ ორგანიზაციულ მუშაობაში ჩაბმის აუცილებლობის შესახებ.

აღნიშნავს მენშევიკურ ინტელიგენციის გარდატეხას, რის მომასწავებელია სეით დევდარიანის გამოსვლა.

**ნაციონალ-დემოკრატები.**

სხვა პარტიების დაშლა უფრო ადვილად მოხდა. ნაციონალ-დემოკრატების სალიკვიდაციო ყრილობა ისე ჩუმად ჩატარდა, რომ ჩვენ პრესასაც კი დაუგვიანდა მისი აღნიშვნა. ნაციონალ-დემოკრატებმა გამოიტანეს რეზოლიუცია თავის პარტიის დაშლის შესახებ იმ მოსაზრებით რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს ანტი-საბჭოთა პარტიების არსებობა უმიზნოა მით უმეტეს, რომ კომპარტიამ საუკეთესოდ გადაჭრა ეროვნული საკითხიო.

**ანტი სარწმუნოებრივი კამპანია.**

ეს კამპანია დაიწყო ახალგაზრდა კომკავშირისთვის რამოდენიმე სამხედრო სობორობის გადაცემით, და მოწამეთის „წმინდანების“ ნეშტების გახსნით, მაგრამ შემდეგ მოძრაობამ მიიღო უფრო ფართე ხასიათი და სტიქიურად ზოგან კიდევაც გადასცილდა განზრახულ საზღვრებს. ჩვენ მოგვიხდა განსაკუთრებული ზომების მიღება ამ მოძრაობის გარკვეულ კალაპოტში ჩასაყენებლად და ზოგი ერთი ეკლესიების ხელახლა გასახსნელად. უკანასკნელი მომენტი ამ კამპანიისა იყო ამბროსის გასამართლება.

**ეროვნული საკითხი.**

ეროვნული საკითხი, თვით ჩვენი მოწინააღმდეგების განცხადებითაც, საუკეთესოთ არის გადაწყვეტილი პარტიის მიერ და პრაქტიკულათ ტარდება დღეს. ეროვნულ უმცირესობათა უფლებები დაცულია. ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობის სათავეში სდგანან ადგილობრივი ამხანაგები, რომლებიც სარგებლობენ მცხოვრებთა სრული ნდობით.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ჩვენ სამეურნეო მდგომარეობაზე.




## 1 მაისი ცალკე საკავშირო ასეულში.

25 აპრილს შესდგა ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედის ღია კრება თავმჯდომარეობდა დიდოსოვი. მდივნობდა მუდმივი მდივანი.

კრებას დაესწრო კომუჯრედის წევრები, წითელ არმიელები და უფ-შემადგენლობა. მოხსენება გააკეთა პირველი მაისის შესახებ ამხ. გორგაძემ, რომელმაც გააცნო კრებას პირველი მაისის მნიშვნელობა და მისი ისტორია მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია. პარტ-კონფერენციაზე დელეგატების გაგზავნის შესახებ ილაპარაკა მდივანმა, რის შემდეგ იქმნა ამორჩეული დივიზიის პარტ-კონფერენციაზე დელეგატებად ამხ. ამხ. მაჩიტაძე და ლ. ხვთისიაშვილი.

მიმდინარე საკითხებში გაირჩა სხვა და სხვა შინაური საკითხები რის შემდეგ კრება დაიხურა.

სამხ. სვირელი.

---

## 7-ᲓᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ.

ჩვენი სკოლის კლუბში, აპრილს ნაჩვენები იყო კინო სურათი „ოტელო“.

კურსანტები აღტაცებული უცქეროდნენ სურათს. ძალიან გული მოსდიოდათ იაგოზედ, აღელვებაში მოჰყავდათ მის ფარისევლობას, ოტელო საშინელი იყო, მაგრამ ის იწვევდა მისდამი სიბრალულს. საერთოდ კინო-სურათით როგორც კურსანტები, ისე მეთაურები და თანამშრომლები ნასიამოვნები დარჩნენ.

ეხლა აქ მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა ჩვენი სკოლის კლუბზედ და მის მუდმივ თანამშრომლებზედ.

1923 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში სომხების სემენარიიდან ჩვენი სკოლა გადმოვიდა ვაკეზედ ყოფ. ქართ. სემენარიაში.

ჩვენი სკოლის შენობა საუკეთესოდაა მოწყობილი, მაგრამ უფრო უკეთესია კლუბის დარბაზი. პირველად რომ შევედით ჩვენ ამ დარბაზში რაღაც უსიამოვნო სურათებით იყო სავსე. პარტერში მარცხენა და მარჯვენა კედელზედ წითელი ეშმაკუნები იყო დახატული. თუ საღამო ან წარმოდგენა ან სკოლის კრება არ იყო ისე ერთ კურსანტს ვერ ნახავდით უწინ კლუბის დარბაზში.

დღეს კი ჩვენი კლუბის დარბაზი წარმოადგენს სკოლას სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

კლუბის უფროსმა ამხ. შალ. შარაშენიძემ და თანაშემწე ამხ. შავგულიძემ ჩვენი კლუბის დღეს თავის სიმაღლეზე დააყენეს. კლუბს ყავს მხატვარი ომაროვი. აი ამ მხატვარის შეწევნობით შარაშენიძემ კლუბი გაამშვენიერა.

შედიხართ პირველად ჩვენი კლუბის დარბაზში. თვალში გეცემათ სცენის ფარდა საუკეთესო კრასკით დახატული. ჩვენი სცენის ღარიბ დეკორაციებშიც იპოვით მშვენიერ სურათს. ტყე, რომელიც ათასგვარ სიამოვნებას და ფანტაზიებს გაგიღვიძებსთ გულში. ბრუნდებით ისევ დარბაზში, ძალაუნებურად მოგტაცებსთ თვალს მარჯვენა და მარცხენა კედლები, რომელიც პირველად უსიამოვნოდ გამოიყურებოდნენ. ეხლა იქ საუკეთესო სურათებია სხვა და სხვა შინაარსისა. საერთოდ სურათებში დახასიათებულია ძველი და ახალი ხანა. დარბაზს ამშვენებს ელექტრონის ლიუსტრა, ქანდარაზედ არ იყო დასაჯდომი სკამები. ეხლა ის კეთდება და სულ რამოდენიმე დღეებში დასრულდება.

რაც შეეხება წარმოდგენებს, ამაზედ არაფერს ვიტყვი, რადგან ყველა ის ამხანაგები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრებით, ამოიკითხავდენ ხშირად ჩვენი სკოლიდანაც ცოტა რამეს ამ დარგში. 15 აპრილიდან ამ დარგში კურსანტების მუშაობა შეჩერებულია დროებით, რადგან გამოცდები სწარმოებს.

მაგრამ აქაც ვამონახა გამოსავალი გზა ამხ. შარაშენიძემ. ყოველ მეორე დღით კინოს გვანახვებს და მითი სულიერი საზრდო ჩვენს კურსანტებს არ მოკლებიათ. კლუბის უფროსი დიდ მზრუნველობის იჩენს ამ დარგში.

იყო შემთხვევა როდესაც მან მიიღო ისეთი სურათები, რომლის ჩვენებაც კურსანტებისათვის საზიანო იყო. ამას მან მალე აუღო ალღო და სურათი უკან გააბრუნა.

სასცენო მუშაობაში ამხ. შარაშენიძე დიდ როლს თამაშობს. ის იწვევს კურსანტებს რომ თითონ შეჰქმნან რამე პიესები და სცენები. მართლაც ჩვენი სკოლის კლუბში ხშირად იმართება საკუთარი პიესები და ინსცენიროვკები.

ამხ. შარაშენიძე და შავგულიძე მადლობის ღირსნი არიან. ამ ამხანაგებმა ეს დაიმსახურეს ჩვენი სკოლის კურსანტებში.

კურ. შ. თელია.

---

## ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲨᲘ.

29 მარტს შესდგა გარნიზონში მყოფ საკავშირო ნაწილების უფ და პოლიტ-შემადგენლობის გაერთიანებული კრება. კრება გახსნა არმიის კავშირის უფროსმა. მოხსენება წაიკითხა ლექტორმა ამხ. მელჩუკოვმა კავშირის საქმეზე, მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები რომელზედაც გაცემულ იქნა სათანადო პასუხი. მეცადინეობის შემდეგ სკარმმა გააცნო კრებას ს. ს. რ. კავშირის, საკავშირო ნაწილების უფროსის ამხ. ხალეზსკის გადაყვანის შესახებ, რომელზედაც კრებამ გამოსთქვა სურვილი რათა ამხ. ხალეზსკის გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა საკავშირო ნაწილების სახელით.

სამხ. ს-ლი.

---

## ᲐᲠᲡᲔᲜᲐ ᲝᲫᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ.

უკვე დაიწყეს ეკრანზე ჩვენება თბილისის კინოებში წარსულ საუკუნის ოცდაათიან წლების სახალხო გმირის, ყაჩაღი არსენასი,—კინო ფილმად რომელიც უნდა ჩაითვალოს ჩვენი სახელმწიფო ფილმის გამარჯვებად.

ვინ არ იცნობს და ვის არ გაუგონია არსენა ოძელაშვილის ამბავი, რომელიც შთამომავლობას გარდმოეცა ლეგენდათ რაც კი ნამდვილი ამბავი იყო.

ეს ხომ უსაზღვრეს ბატონ-ყმობის ერთი შარავანდედით მოსილი გმირი იყო, რომლის ფონზეც გაშალეს ფრთები დ. ჰონქაძემ „სურამის ციხე“ და ი. ჭავჭავაძემ „გლახის ნაამბობი“ და „კაკო ყაჩაღი“ და ვინ იცის კიდევ რამდენი სხვა.

და ეს გმირი, ხალხში საყვარელ მარგალიტებად განბნეული საბჭოთა ხელისუფლებამ გადაიღო ლენტზე, რომ ყველასა ჰქონდეს საშუალება ნახოს და განიცადოს იგი და გარდაეცეს ისტორიას მაშინდელი ფიგურები.

გადაღებას არა უშავს—რა, შეძლების დაგვარად გაშლილია ისტორიული ფონი.

მცხეთასთან, მის საფლავის ახლოს ზის მესტვირე და მოუთხრობს შეყვარებულ მშრომელ ხალხს ერთ-ერთ მის წინაპარ მოამაგეზე, რომელიც „მდიდრებს ართმევდა—ღარიბთ აძლევდა“.

თავადების ზეიმი, შეუბრალებელი მოპყრობა მშრომელი გლეხობისადმი, ძაღლებზე გაცვლა ადამიანებისა პირველი ღამეები...

გადაღებაში დაცულია ისტორიული სინამდვილენი, მაგრამ ბევრია შეტანილი ახალი, რომელიც არსენას ცხოვრებაში არ იყო, მაგრამ, ეს ალბად სურათის სილამაზისათვის. რეჟისორ ბარსკის ეტყობა მიდგომა და გაგება ჩვენი ხალხის წარსულთან და სულთან.

ჩიჩელაშვილი (არსენას როლში) უცნობი მსახიობია საზოგადოებისათვის, მაგრამ მან თავის ლამაზი და მოხდენილი თამაშით დაიმსახურა სიყვარული, მხოლოდ ერთია აქ აუცილებლად აღსანიშნავი, რომ გარდმოცემა გვიამბობს არსენას ზორბა მოყვანილობაზე და მოხდენილ ვაჟკაცობას, რომელთანაც შედარებით ჩიჩელაშვილი პატარა ტანისაა და უფრო მოგაგონებთ ერეკლეს „დალატიდან“, დათოსთან შედარებით.

კარგია ანდრონიკაშვილი ვაჩნაძისა „ნინოს“ როლში. არაუშავრს-რა ბარხუდაროვისას კნეინა „რუსუდანის“ როლში. დანარჩენ როლებს ასრულებენ ბარსკის სტუდიის მოწაფენი და ჯიგიტი ესიკოვსკი.

მერე კიდევ წარწერების სინამდვილე არაა დაცული რიგიანად, აქ არც ხალხური გადმოცემა სჩანს მთლიანად და არც გასწორებულია, რუსულსა და ქართულს შორის დიდი განსხვავებაა, ხაზებ შუა არ-არის განსხვავება, მოთამაშენი მუდამ ერთ გრიმში და ტანთსაცმელში არიან, მაგრამ ყველა აქამდის გამოცემულ სურათებს სჯობიან და სამართლიანად მიიზიდა აუარებელი მაყურებელი.

კარგს იზამდენ, ვისგანაც ჯერ არს, რომ ამ სურათს აჩვენებდენ, უფასოდ, ჩვენს ჯარის ნაწილებში, რადგან დიდძალი მოლაშქრენი ეხვევიან კინოს და ყველას არა აქვს საშუალება ნახვის.

სანი.

---

# მოწოდება.

## ᲯᲐᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲐᲬᲕᲔᲕᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ.

ამხანაგებო! ამ მოკლე ხანში მუშურ გლეხური საბჭოთა მთავრობა გიწვევთ თქვენ წითელ ყაზარმებში მომავალ განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის მოსამზადებლად. წითელი არმია, რომელიც დაიბადა და გაიწვრთნა სამოქალაქო ომში, მსოფლიო კაპიტალთან ბრძოლაში, შესდგება მუშების და გლეხების შვილებისაგან. მუშურ-გლეხურ მთავრობას დაიცავს მხოლოთ—მისი დასაყრდნობი ძალა მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა. წითელმა არმიამ—შეგნებულმა დარაჯმა, ოქტომბრის რევოლიუციის, ნივთიერათ ღატაკმა, ნახევრად მშიერმა შესძლო გადაელახა შემოტევა მსოფლიო კაპიტალის, რომელიც ემუქრებოდა საბჭოთა ხელისუფლებას განადგურებით. წითელი არმია, რომლის რიგებს ავსებდა და ავსებს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა, შეიქმნა ის სალი კლდე, რომელზედაც სასიკვდილოთ ეხეთქებოდა საერთაშორისო იმპერიალიზმი. წითელი არმიის გამარჯვება საბჭოთა ხელისუფლების პირობებში არ არის შემთხვევითი, არამედ შეგნება რწმენა და თავდადება მუშათა კლასის გამარჯვებისათვის—აი რას მიყავდა რევოლიუციონური მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა გამარჯვების გზაზე.

წითელი არმიის თავდადებული ბრძოლით, დაუძინებელი დარაჯით კაპიტალის შემოტევისაგან ჩვენ დავამყარეთ საბჭოთა ხელისუფლება—პირველი ძალაუფლება მუშების და გლეხების მთელ მსოფლიოში. წითელი არმიის საშვალებით მუშურ-გლეხურმა მთავრობამ შექმნა უძლეველი კოშკი—კომუნიზმის შენების. მთელი დედა-მიწის ერთი მეექვსედი ნაწილზე—სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. აი ამ შრომის სამეფოს დღეს ერთგულად დარაჯობს წითელი არმია მტრების შემოტევისაგან და საშვალებას აძლევს მუშებს და გლეხებს მშვიდობიანი სოციალისტური აღმშენებლობისთვის. საბჭ. რესპუბლიკები გარშემორტყმულია უძლეველი ციხე სიმაგრით—წითელი ჯარით და ამ სიმაგრეზე დამოკიდებულია ჩვენი მომავალი მშვიდობიანი ცხოვრება და აღმშენებლობა. დღეს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება იმყოფება დროებითი დასვენების პერიოდში, ერთ-ერთი იმედი და დასაყრდნობი ძალა არის წითელი არმია. მსოფლიო ბურჟუაზიას, რომელიც გარშემორტყმულია ჩვენს ირგვლივ არ სძინავს, მთელ ევროპაში და სხვა ქვეყნებში გაისმის იარაღის ჟღარუნი, სამხედრო მზადება, რომ ერთხელ კიდევ ჩაბას მსოფლიო პროლეტარიატი განმანადგურებელ ომში. ბურჟუაზიას შეშურს ჩვენი—მუშების და გლეხების შრომის სახელმწიფოსაბჭოთა რესპუბლიკები და არ დააყოვნებს, რომ შერჩეულ დროს თავს დაგვესხას. იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან საბჭოთა რესპუბლიკათა კავშირის ცნობა, სრულიად არ ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ მომავალში საფრთხე არ მოგველის. ამავე დროს მსოფლიო ბურჟუაზია ამზადებს და ანვითარებს სამხედრო ტეხნიკას (მახრჩობელი გაზი, ტანკები ჯავშოსნები და სხვა), აძლიერებს და ამრავლებს ჯარს. ყველაფერი ეს შერჩეული დროს იქნება მომართული ჩვენს წინააღმდეგ მუშურ-გლეხური ხელისუფლების დასანგრევათ.

ბურჟუაზიას ყავს ჯარი ძალით შეკრებილი—ბრმა დისციპლინით, ძალით დამორჩილებული. წითელი ლაშქარი კი შეგნებულია პოლიტიკურად, კულტურულად და გამობრძმედილი დარაჯია მუშათა კლასის.

წითელი ყაზარმა—სკოლაა მუშურ გლეხური ახალგაზრდობის. ის ზრდის არა მარტო შეგნებულ მებრძოლებს, ერთგულ დარაჯებს საბჭოთა რესპუბლიკების, არამედ საუკეთესო მშენებლებს მომავალი შრომის სამეფოს-კომუნიზმის. წითელი არმია, იმიტომ არის ძლიერი სამხედრო, კულტურულ და ეკონომიური ფრონტებზე, რომ მას ზრდის წითელი ყაზარმა.

ამხანაგებო! აი ამ ყაზარმაში შეგნებულად, უკან დაუხევლად უნდა მოიყაროთ თავი და შეასრულოთ ის დიდი მოვალეობა, რომელიც დაკისრებულია თქვენზე მუშათა კლასის მიერ. არც ერთი პატიოსანი ახალგაზრდა, რომელსაც კი უცემს გული რევოლიუციონური ბრძოლის, არ უნდა დაემალოს ამ ყველაზე უწმინდეს მოვალეობას და ყველამ უნდა მიაშუროს საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოსკენ, რომ მით დაუმტკიცოთ ბურჟუაზიას და ყველა ჯურის ანტი-საბჭოთა ელემენტებს, რომ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა ყოველთვის იქნება შეგნებული და ერთგული დარაჯი საბჭოთა მთავრობის.

კომუნისტური კავშირი, რომელიც ხელმძღვანელობს მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას, გაგიძღვებათ წინ ამ მოვალეობის ასრულებაში.

მშრომელო ახალგაზრდებო! ამ უდიდესი მოვალეობის ასრულება მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინაშე, იქნება თავდები საბჭოთა ხელისუფლების მთელი მსოფლიოში გამარჯვების.

გაუმარჯოს თქვენს შეგნებულ დარაზმვას წითელ არმიის რიგებში!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მხნე დარაჯს—წითელ არმიას!

კომუნისტური კავშირი გიძღვნით მხურვალე სალამს!

ს. ა. კ. კ. ცენტრალური კომიტეტი.

# ახალი ამბები

— **გორის აღსადგენათ.** 14 მაისს ქალაქის იპოდრომზე გაიმართება დიდი დოღი და ჯირითი გორის აღსადგენ ფონდის გასაძლიერებლათ.

— **გადასახადი წყალზე.** ქალაქის კომუნალურმა განყოფილებამ გადასწყვიტა წყალზე გადასახადი პროფკავშირის წევრებისათვის გახადოს 1/4 კაპეიკი ვედროზე.

— **გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა.** საქართველოს ტყეთა გამგეობას გადაეცა მტკვრის ნაპირას (მეორე კომისარიატში) 1800 კვ. საჟენი მინა გრეხილ ავეჯეულობის ქარხნის საჭიროებისათვის.

— **მუშათა ახალშენები.** ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭომ განიზრახა ჭიათურაში და მის რაიონებში მოაწყოს მუშათა ახალშენები.

— **თამბაქოს გატანა საზღვარგარეთ.** ა. კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატი აწარმოებს ამჟამათ მოლაპარაკებას საზღვარგარეთის ფირმებთან ლაგოდეხის თამბაქოს გატანის შესახებ.

— **ნოქრების კვალიფიკაცია.** 15 მაისს შრომის ბირჟაში დაიწყება ყველა უმუშევარ ნოქრების ხელახალი აღრიცხვა და მათი კვალიფიკაციური დანაწილება.

— **გზების შეკეთება.** ქალ. აღმასკომმა წინადადება მისცა კომუნალურ განყოფილებას, საფინანსო განყოფილებასთან ერთად გამოარკვიოს თუ რამდენი დახმარება სჭირდება ტფილის—სიღნაღ—ლაგოდეხის გზატკეცილის შეკეთებას.

— **ცხენის წყალზე.** ა. კ. უმაღლესმა ტეხნიკურმა საბჭომ გადასწყვიტა გაამაგროს მდინარე ცხენის წყალის ნაპირები და სათანადო მუშაობას შეუდგეს მოკლე ხანში.

— **დასასვენებელ სახლებში.** საქ. პროფ. კავშირთა საბჭოს დადგენილებით, დასასვენებელ სახლებში გაიგზავნებიან ის მუშა-მოსამსახურენი ვინც განსაკუთრებით საჭიროებენ დასვენებას.

— **მატყლის დამზადება.** ა. კ. ცენტროკავშირმა შუამდგომლობით მიმართა სასოფლო სამეურნეო ბანკს 10.000 მან. სესხის მიცემის შესახებ მატყლის დამზადების საქმის მოსაგვარებლათ.

— **სამუშაოზე გაგზავნა.** 7. მაისს შრომის ბირჟამ სამუშაოზე გაგზავნა 50 უმუშევარი. ახლათ ჩაეწერა 73 კაცი.

## ხელოვნება

— **კლუბის გახსნა.** მაისის ბოლო რიცხვებში გაიხსნება ვერის მუშათა საზაფხულო კლუბი, რომელშიაც ყოველ შაბათობით გაიმართება ქართული წარმოდგენები.

— **„წითელი არტილერისტი“.** 9 მაისს ახალი კლუბის შენობაში გაიმართება დიდი საღამო აეროპლან „წითელი არტილერისტის“ შესაძენ ფონდის გასაძლიერებლად.

— **„ხელოვნების დროშა“.** ამ დღეებში გამოვა ხელოვნების მუშაკთა კავშირის ორგანო „ხელოვნების დროშას“ მორიგი ნომერი.

— **„ჩირაღდანი“** კვირას გამოვა გაზ. „კომუნისტის“ დამატება ჟურნალი „ჩირაღდანი“, რომელშიაც მოთავსებული იქნება პროლეტარული პოეტების ნაწარმოებნი.

# შეიარაღებულ ძალთა აღმშენებლობის ფორმები.

**(ტერიტორიალური ნაწილები).**

**შესავალი.**

ყველამ სავსებით კარგათ ვიცით თუ როგორ პლატფორმაზე სდგას კომ. პარტია საერთოთ ომის შესახებ.

1914—1917 წლებიდან მან პრაქტიკაზე დაამტკიცა, რომ ის მთელი თავისი არსებით წინააღმდეგია ომის, რომელიც მოითხოვს, საზოგადოების ხორცმეტა ჯგუფის ინტერესების დასაცავად, უთვალავ და უსაზღვრო ტანჯვას და უამრავ მუშების და გლეხების განადგურებას.

1917 წლიდან დაიწყო აქტიური ბრძოლა ომის წინააღმდეგ.

იმ დროს, როდესაც დროებითი მთავრობა ყოველივ ღონეს ხმარობდა, გაეგრძელებია იმპერიალისტური ომი გამარჯვებამდე, რასაც მოითხოვდა მხოლოდ როგორც ზევით აღვნიშნეთ, რუსეთის კაპიტალისტების და მემამულეების ინტერესები, კომუნისტური პარტია მთელი თავისი შეგნებით და რევოლიუციონურ ენტუზიაზმით წინ აღუდგა ვეშაპების განზრახვას და გადაისროლა ჯარის კაცების და მუშების ფართო მასებში ლოზუნგები: „ძალა უფლება საბჭოებს“, „ძირს იმპერიალისტური ომი“.

იმდენად სამართლიანი და თვით დროული იყო კომ. პარტიის მიერ გადასროლილი ლოზუნგები, რომ სულ მოკლე ხანში ჩვენ შედეგათ მივიღეთ ოქტომბრის რევოლიუცია.

ამ წერილში ვერ შეუდგებით ოქტომბრის რევოლიუციის მსვლელობის და პირობების გამოკვლევას, რამდენათაც ეს ძირითად საკითხს არ ეხება, ხოლო საჭირო იქნება აღვნიშნოთ გაკვრით თუ როგორ პირობებმა წარმოშვა წითელი ლაშქარი, რომ ნათელ ვყოთ კომუნისტური პარტიის საქმით მშვიდობიანი პოლიტიკა და სურვილი მშვიდობიან საბჭოთა აღმშენებლობის წარმოებისა.

ყოველი რევოლიუციის მონაპოვარნი მოითხოვენ დაცვას. მუშათა მოძრაობას მრავალი ახსოვს მაგალითები, როდესაც მის მიერ შექმნილ რევოლიუციას დაეპატრონენ სხვები და მისცეს მას მუშათა კლასისათვის სრულიად უსარგებლო მიმართულება.

ოქტომბრის პირველ რიცხვებიდანვე, თებერვლის მესვეურნი, ყოველივე ღონეს ხმარობდენ, ოქტომბრის რევ. დასამარცხებლად, თავიანთი პროვოკაციონულ გამოსვლებით სცდილობდენ ჩირქი მოეცხოთ კომ. პარტიისათვის, ადგენდენ კონტრევოლ. რაზმებს, ინტელიგენციამ სრული საბოტაჟი გამოუცხადა მას რუსეთში, მრავალჯერ ისმებოდა ოქტომბრის რევ. ყოფნა არ ყოფნის საკითხი. სხვა კარდინალურ საკითხთა შორის, რომელიც უნდა გადაეწყვიტა ოქტომბრის რევოლიუციას, წყდებოდა საკითხი ომის გაგრძელების შესახებ. ოქტომბერმა გადასწყვიტა იგი, როგორც შეეფერება შორსმჭვრეტ წითელ დიპლომატიას.

რუსეთის ვებერთელა სივრცე არ აძლევდა კომუნისტურ პარტიას საშუალებას, თავიდანვე აღმოეფხვრა ყველა ის კონტრ. რევოლ. ორგანიზაციები, რომლებსაც შეეძლოთ წინააღმდეგობა გაეწია რევოლიუციისათვის.

ამ გარემოებამ ხელი შეუწყო, ყველა იმ ელემენტების დარაზმვას, რომლებიც უკმაყოფილონი დარჩენ ოქტ. რევოლიუციის გამარჯვებით.

მდგომარეობა მოითხოვდა რევოლიუციონურ რაზმების შედგენას, კონტრევოლიუციონურ ბანდებთან რევოლიუციონურ ძალების დაპირდაპირებას.

საფუძვლად ეხლანდელ წითელ ლაშქრის დაედო კომუნისტების და უპარტიო მუშების ჯგუფები, რომლებსაც წითელი გვარდია ეწოდებოდა.

სამოქალაქო ომის ისტორია 1917—1921 წლამდე გვაძლევს ნათელ სურათს თუ რა მიზნით შეიქმნა წითელი ლაშქარი და თუ რა ღვაწლი მიუძღვის მას რევოლიუციის გამარჯვების საქმეში.

კიდევ ერთი საბუთი საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიან პოლიტიკის წარმოებისა; 1921 წელს, როდესაც უკვე სავსებითი ლიკვიდაცია ეყო ყველა კონტრ-რევოლიუციონურ ბანდებს, ექვსი მილიონიანი ლაშქარი მცირდება ექვსას ათასიან ლაშქარზე—ე. ი. 10 ჯერ. მოუწოდებს ყველა სახელმწიფოებს განიარაღებისაკენ, ამცირებს ხარჯებს სამხედრო საქმისათვის და ცენტრი ყურადღებისა გადააქვს საბჭოთა მშვიდობიან აღმშენებლობაზე იმ დროს როდესაც საბჭოთა რესპუბლიკებში მცირდება შეიარაღებული ძალები, იმპერიალისტური სახელმწიფოები ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს ახმარებენ სამხედრო, საზღვაო და საჰაერო ფლოტის გაძლიერებას და გამრავლებას.

(გაგრძელება იქნება).

**ჟორანი.**

# საქ. კომპ. მესამე ყრილობას.

დღეს ერთხელ კიდევ გაისმება
შენი ძახილი,
და მტერთა თავზე აელვდება
ცეცხლის მახვილი!..

—

ო, საქართველოს მშრომელ ხალხის
შენა ხარ ნება,
რათა კაპიტალს დაატეხო
თავს რისხვა, ვნება!

—

დიად კომუნას შენ დაადგამ
ძლევის გვირგვინებს,
და შენი სიტყვა ძველ მსოფლიოს
ააქვითინებს!

—

სალამი შენდა, მხედრული,
და გამარჯვება,—
შენგან მოველით ჩვენც, წითელი
ჯარები შვებას!..

**დაშნა.**

# სამეურნეო განყოფილება.

**ბოსტნის მავნებლები. მახრა.**

მახრა ბოსტნის უსაშინელესი მტერია. მას დიდი ზიანი მოაქვს ნამეტურ სველ ნიადაგზე. ზოგჯერ ის იმდენათ მრავლდება რომ მოსავალს სრულებით აფუჭებს.

მახრას ბარტყობა. მახრა იკეთებს ხვრელებს სველ-ფხვიერ და ქვიშნარ ნიადაგში 1-2 ვერშოკის სიღრმეზე. დედალი მახრა იპეთლება მაის-ივნისში, ამის შემდეგ ის მიხვეულ მოხვეულ ხვრელებში 3-4 ვერშოკის სიღრმეზე იკეთებს ქათამის კვერცხის ოდენა ბუდეს. კედლები ბუდეს გალესილი და მჭიდრო აქვს, რომ შიგ არ შევიდეს წყალი. ასეთ ბუდეში მახრა სდებს 200-250 ძლიერ პატარა კვერცხებს, რომელსაც ის 1-2 კვირის განმავლობაში უვლის. ამ დროისთვის იჩეკებიან პატარა უფროთო მახრები. ამ ბუდეში დედასთან ერთად ბარტყები ერთ თვემდის სცხოვრობენ; შემდეგ კი ყოველი მათგანი საკუთარ ხვრელს იკეთებს. მახრებს გამოსაზამთრებლათ სასუქით მდიდარ ნიადაგში და განსაკუთრებით ნაკელში ყოფნა უყვართ. გაზაფხულზე პატარა მახრებს ეზრდებათ ფრთები და ზაფხულზე ისინიც განაყოფიერდებიან. აქედან აშკარათ სჩანს თუ რა ჩქარა შეუძლია მახრას გამრავლება თუ ის კარგ პირობებში მოხვდა. ზოგიერთ ნესტიან წლებში როცა დიდი წვიმების შემდეგ მზიანი ამინდები დადგება, მახრა ისე აფუჭებს ბოსტნეულს და სიმინდის ყანებს, რომ ხშირათ საჭირო ხდება მისი მეორეთ დათესვა.

**მახრასთან ბრძოლა.**

**პირველი საშუალება:** აიღეთ ნახევრათ მოხარშული ნელ-თბილი სიმინდის მარცვლები. ნაწილი ამ მარცვლებისა გასრისეთ, აურიეთ შიგ თაგვის შაქარის ფხვნილი და შეურიეთ სხვა მარცვლებს. ნახევარ ფუთ თესლზე საჭიროა მეოთხედი გირვანქა თაგვის შაქარი. ასე გამზადებულ თესლს კარგათ აურევენ, სანამ თაგვის შაქარი ყველა მარცვალს მოხვდებოდეს. შემდეგ ამ თესლს აბნევენ თხლათ ბოსტანში ნახევარი არშინით ერთი მეორეზე და წააყრიან მიწას. ასეთ მარცვალს მახრა სჭამს და იწამლება. ვინც თაგვის შაქრიან თესლს ამზადებს ხელი კარგათ უნდა დაიბანოს და საერთოთ უფრთხილდეს, რადგან თაგვის შაქარი საწამლავია.

**მეორე საშუალება:** შემოდგომაზე ამოიღებენ ნახევარი არშინის სიღრმეზე თხრილებს და შუამდის ნაკლით გაავსებენ. მახრები საზამთროდ აქ მოიყრიან თავს. შემოდგომის ბოლოს ან ადრე გაზაფხულზე ამოყრიან თხრილებიდან ნაკელს და მასთან ამოყოლილ მახრებს ხოცავენ. თუ ამინდები კარგია, უმჯობესია ნაკელის ხშირ-ხშირათ ამოღება და მახრების დახოცვის შემდეგ ისევ უკან ჩაყრა. თუ მდებარეობა ხელს უწყობს, სადაც ბევრი მახრაა, მიუშვებენ წყალს და გააჩერებენ 5-6 დღეს ამ გვარად მახრა სრულიათ ისპობა.

**მეურნე.**

# მეცნიერება და ტექნიკა

**უცნაური ზღვის ცხოველები.**

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დროს ძლიერ დაინტერესებული არიან ზღვის სიღრმეებით და შესაფერი მუშაობაც სწარმოებს მათ შესასწავლად, ამ მიმართულებით მომუშავეებს ჯერ ბევრი რამ აქვთ კიდევ შესასწავლი ზღვების სიღრმეთა და იქ მცხოვრებ ცხოველების შესახებ. ამ მხრივ ძლიერ საინტერესოა ინგლისელი ხედჯეს მაიტჩელის მოღვაწეობა აღნიშნული მიმართულებით. მაიტჩელი სპეციალურად მოგზაურობს ამ საქმისათვის და მან ბევრი ისეთი ახალი შეიტანა ამ დარგში, რომლებიც უეჭველად დიდი მეცნიერული ღირებულების არიან. მაიტჩელმა აღმოაჩინა ბევრი ისეთი ზღვის ცხოველები, რომელთა არსებობის შესახებ მეცნიერებამ ჯერ არაფერი იცოდა. ეხლახან მაიტჩელი იმყოფება ვესტინდიის არხიპელაგზე მომუშავე ექსპედიციაში. თავის პირველ ცნობებში კუნძულ იამაიკის შავმდინარეზე მუშაობიდან ის იუწყება იმ ახალი ცხოველების თევზების შესახებ, რომელთა წინააღმდეგ მას ჰქონია სასტიკი ბრძოლა. მაიტჩელი აღნიშნავს, აღნიშნული თევზების აგებულობას და ამბობს, რომ მათ აქვთ რაღაც გრძელი საშინელი კუდები, რომლებზედაც მოთავსებული აქვთ 12 დიუიმის სიგრძე ხანჯლები. მას დაუჭერია შავ მდინარეში ორი ასეთი თევზი. ერთი მათგანი იწონის 215 გირვანქას და მეორე 220-სო. მათ კუდზე მოთავსებულ ხანჯლებისადმი ოდნავი მიკარება იწვევს საშინელი ტანჯვით სიკვდილს. ეს ხანჯლები ინარჩუნებენ შხამიანობას თევზების სიკვდილის შემდეგაცო.

**ბიბლიური აბრაამის ქვეყნის ურის გათხრა.**

ბიბლიური აბრაამის ქვეყანაში, ქალდეიის ურაში სამეცნიერო მიზნით გაემგზავრა დიდი ბრიტანეთიდან ექსპედიცია, რათა მოეხდინათ ადგილობრივ გათხრა ბიბლიურ სიძველეთა აღმოჩენის მიზნით. ექსპედიცია მოაწყო ბრიტანეთის ეროვნულმა მუზეუმმა და ფილადელფიის უნივერსიტეტმა. ექსპედიციის მუშაობა მეტის მეტად ნაყოფიერი შეიქნა. მდინარე ეფრატის მარჯვენა ნაპირის ე. ი. იმ ადგილის გათხრის დროს, საიდანაც ბიბლიური გადმოცემით აბრაამი გაემგზავრა ხანაანში ექსპედიციამ აღმოაჩინა საფლავი, რომელიც აგებულია 5 ათასი წლით ადრე ქრისტეს დაბადებამდე. აგრეთვე აღმოჩნდა ტაძარიც, რომელიც იქვე ნახულ მარმარილოს ფიცრის თანახმად აგებულია ურის პირველი დინასტიის ანიპად მეფის მიერ, რომელსაც არქეოლოგები ლეგენდარულად სთვლიდენ აქამდე. იქვე იქნა ნახული სპილენძის რელიეფები, რომლითაც მორთული იყო ტაძრის კედლები. მათზე გამოხატულია ხარები. აღმოჩენილი იქნა აგრეთვე ხარის სტატუია 70 სანტიმეტრის სიმაღლის. ჯერჯერობით ეს უძველესი ხელოვნური ნაწარმოებია წინა აზიაში, რასაც დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

**შეიხ.**

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ილ. ჩანტლაძე.